

TEMPUR ARC™ Static, TEMPUR ARC™ Adjustable, TEMPUR ARC™ Storage

გამოყენების ინსტრუქცია და გარანტია

სარჩევი

გამოყენების ინსტრუქცია	3
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება TEMPUR®-ში	3
ინსტრუქციები ზოგადი უსაფრთხოების შესახებ - გამოიყენება ყველა ტიპის საწოლისთვის:	
TEMPUR ARC™ Static, TEMPUR ARC™ Adjustable, TEMPUR ARC™ Storage სიმბოლოები	3 4
ტრანსპორტირება, გადაადგილება, შენახვა და განადგურება	5
ამ „ახალი პროდუქტის“ სუნი	5
გთხოვთ გაითვალისწინოთ გამოყენების დამატებითი ინსტრუქციები სახანძრო უსაფრთხოება	5 6
აწყობა	6
გასუფთავება და შენახვა	6
დამატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი და შესანახი საწოლის გამოსაყენებლად	7
დამატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი და შესანახი საწოლის გამოსაყენებლად	8
დამატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი საწოლის გამოსაყენებლად	8
დიაგნოსტიკა	9
აქსესუარებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი	10
დამატებითი ინფორმაცია ელექტრო ნაწილების გაწმენდისა და ელექტრო ნაწილების გადაყრა	10
ელექტრო და ელექტრონული ნაწილები	10
ძრავის დანადგარის დემონტაჟი	11
გარანტია	15

ამ ტექსტის ნებისმიერ ნათარგმნ ვერსიას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურენოვან ვერსიას მიენიჭება.

გამოყენების ინსტრუქცია

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება TEMPUR®-ში

მადლობა და გილოცავთ, რომ აირჩიეთ TEMPUR®. წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას თქვენი TEMPUR ARC™ პროდუქტის მოვლისა და სარგებლის მიღების შესახებ.

ინსტრუქციები ზოგადი უსაფრთხოების შესახებ - გამოიყენება ყველა ტიპის საწოლისთვის: TEMPUR ARC™ Static, TEMPUR ARC™ Adjustable, TEMPUR ARC™ Storage

მომდევნო თავებში, ქვემოთ მოცემული სქოლიოები შესაძლო სახიფათო სიტუაციებზე ყურადღების გასამახვილებლად იქნება გამოყენებული. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, რომ ამ ინსტრუქციების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტრამვები ან პროდუქტის დაზიანება.



საფრთხე

ყურადღება მიაქციეთ, რომ პირდაპირმა სახიფათო სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან სერიოზული ჭრილობები, თუ ის არ იქნება თავიდან აცილებული.



გაფრთხილება

ყურადღება მიაქციეთ, რომ სახიფათო სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან სერიოზული ჭრილობები, თუ ის არ იქნება თავიდან აცილებული.



გაფრთხილება

ყურადღება მიაქციეთ, რომ სახიფათო სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს მცირე ან საშუალო სიმძიმის ჭრილობები, თუ ის არ იქნება თავიდან აცილებული.

მნიშვნელოვანია










ყურადღება მიაქციეთ, რომ სახიფათო სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის და/ან სხვა ქონების დაზიანება, თუ არ იქნება თავიდან აცილებული.










შენიშვნა

ყურადღება მიაქციეთ პრაქტიკულ ინსტრუქციებსა და კარგ რჩევებს.

სიმბოლოები

შემდეგი სიმბოლოები არის გამოყენებული პროდუქტზე, შეფუთვაზე ან მის სახელმძღვანელოში.

	ფრთხილად გახსენით შეფუთვა, რომ საწოლი და მისი ნაწილები არ დაზიანდეს. უსაფრთხოდ და შეძლებისდაგვარად უცვლელ მდგომარეობაში გადაყარეთ შეფუთვა თქვენს შემოგარენ ტერიტორიაზე.			შეფუთვიდან ამოღებისას შესაფუთი მასალა არ ჩაჭრათ ღრმად მოეპყარით სიფრთხილით.	
	ამ პროდუქტის ასაწყობად საჭიროა ორი ადამიანი.		შეინახეთ მშრალ გარემოში		ტენიანობის დონე
	მოერიდეთ აალებას		CE მარკირება ელექტრო ხელსაწყოზე		ყურადღება მიაქციეთ გამოყენების ინსტრუქციას

				
გამოიჩინეთ სიფრთხილე და ჩარჩოს აწვევისას ხელი არ მოკიდოთ შუა გისოსის ძელებს		ფეხები გქონდეთ უსაფრთხო მანძილზე		
				
თავის მხარე	ფეხების მხარე	მოერიდეთ მოწყობილობით თამაშს	მოერიდეთ თითების მოყოლას	

ტრანსპორტირება, გადაადგილება, შენახვა და განადგურება



გაფრთხილება

- არ სცადოთ საწოლის და მისი ნაწილების თქვენი ნებით გადაადგილება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დაზავება. გააკეთეთ ეს ორ ადამიანთან ერთად.
- შეინახეთ პროდუქტი მშრალ გარემოში (მაქს. 65%-იანი ფარდობითი ტენიანობით).
- ყოველთვის დაიცავით აგრეგატის სახელმძღვანელოში და პროდუქტის ხარისხის ეტიკეტზე (მოთავსებული სასთუმლის ფიცრის უკანა მხარეს) მოცემული უსაფრთხოების ინსტრუქციები.

მნიშვნელოვანია

Οι συσκευασίες θα πρέπει να ταξινομούνται σε ανακυκλώσιμα εξαρτήματα και στη συνέχεια να απορρίπτονται σύμφωνα με τους κατάλληλους εθνικούς περιβαλλοντικούς κανονισμούς. Επικοινωνήστε με την τοπική αρχή ή τον παλιτή λιανική για συμβουλές ανακύκλωσης.

ამ „ახალი პროდუქტის“ სუნი

ზოგი ადამიანი გრძნობს სუსტ სურნელს მათი TEMPUR ARC™-ის ახალი პროდუქტის გახსნისას. ეს სრულიად უვნებელია და გაქრება გამოყენებიდან მოკლე დროში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ გამოყენების დამატებითი ინსტრუქციები

გთხოვთ კარგად წაიკითხოთ შემდეგი ინფორმაცია, რადგან ის მოგცემთ მითითებებს, თუ როგორ გამოიყენოთ თქვენი პროდუქტი და რას უნდა ელოდოთ პირველი რამდენიმე თვე.



გაფრთხილება

- მხოლოდ სახლის პირობებში გამოყენებისთვის.
- დაუყოვნებლივ განადგურეთ შესაფუთი მასალები, რადგან მათ შეიძლება გამოიწვიონ გაგუდვის რისკი.
- არ გამოიყენოთ აქსესუარები/დანართები, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.

მნიშვნელოვანია

- პროდუქტი არ უნდა იქნას გამოყენებული ნესტიან გარემოში.
- მოერიდეთ ამ პროდუქტის გარეთ გამოყენებას.
- ეს არ უნდა იყოს გამოყენებული ნებისმიერ პროცესში, რომელიც შეიძლება გაიწმინდოს ავტომატური რეცხვის სისტემით.
- ჩვენს მიერ რეკომენდებული გამოყენების შესაბამისად (ძილი, ჯდომა და კიდევ ჯდომა), მთელი საწოლის ზედაპირზე დასაშვებია მაქსიმალური წონა 150 კგ (მცოცავი წონა) შეზღუდვების გარეშე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მწარმოებელი ვერ იქნება პასუხისმგებელი გადატვირთვაზე.

სახანძრო უსაფრთხოება

TEMPUR ARC™ Bed Range-ის პროდუქტები აკმაყოფილებენ უსაფრთხოების მოქმედ სტანდარტებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს პროდუქტის ან რეგიონის მიხედვით. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ.

დაუდევრობა იწვევს ხანძარს- მკაცრად გირჩევთ არ მოწიოთ საწოლში.



გაფრთხილება

- ხანძრის გაჩენის რისკი: პროდუქცია შეინახეთ ცეცხლისგან მოშორებით

აწყობა

სწორად და უსაფრთხოდ ასაწყობად, შემოდგომი მითითებები აწყობასთან დაკავშირებით იხილეთ სახელმძღვანელოში.

გასუფთავება და შენახვა

სუფთა საძინებელს შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს თქვენი ძილის გარემოზე და შესაბამისად, ძილის ხარისხზე.

თქვენი საწოლის გარეგნობის შესანარჩუნებლად, ჩვენ გირჩევთ რეგულარულად გამოიყენოთ მტვერსასრუტი რბილი თავაკით, უმჯობესია კვირაში ერთხელ. ეს ნაზად აცილებს მტვერს ზედაპირიდან ქსოვილის დაზიანების გარეშე და ამცირებს მტვრის დაგროვებას.

მნიშვნელოვანია

- ყოველთვის მოცილეთ ლაქები რაც შეიძლება სწრაფად, სანამ ისინი შეადგენენ ბოჭკოებში. ამან შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი ლაქა.
- მოერიდეთ გაუღენტვას, რადგან მან შეიძლება შეადგინოს ქსოვილში და დააზიანოს მის ქვეშ მდებარე მასალა.
- არ გახეხოთ მასალა ძალიან მაგრად ლაქის მოსაშორებლად, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს მასალა.

შენიშვნა

- თუ სითხე დაიდვრება, მოაცილეთ რაც შეიძლება მეტი სითხე ჩვეულებრივი სამზარეულოს თეთრი ქაღალდის პირსახოციით ან ბამბის ქსოვილით, რათა თავიდან აიცილოთ მუდმივი ლაქა.
- ლაქების უმეტესობის მოცილება შესაძლებელია ნელთბილი წყლით, შესაძლებელია pH-ნეიტრალური ჭურჭლის სარეცხი საშუალებით.
- თუ ლაქა გაშრა, მოაშორეთ რაც შეიძლება მეტი მტვერსასრუტის რბილი თავაკით.

დაგატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი და შესანახი საწოლის გამოსაყენებლად

გთხოვთ კარგად წაიკითხოთ შემდეგი ინფორმაცია, რადგან ის მოგცემთ მითითებებს, თუ როგორ გამოიყენოთ თქვენი პროდუქტი და რას უნდა ელოდოთ პირველი რამდენიმე თვე.



გაფრთხილება

- დანიშნულებისამებრ გამოიყენეთ TEMPUR ARC™-ის მხოლოდ ეს რეგულირებადი და შესანახი საწოლი, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოში.
- ამ მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი მომხმარებლების მიერ, რომლებსაც ზედამხედველობენ ან მიცემული აქვთ უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ მითითებები და სრულად აცნობიერებენ შედეგად მიღებულ რისკებს.
 - ამ მომხმარებლებში შედიან:
 - 8 წლის და უფროსი ასაკის ბავშვები
 - შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირები
 - ნაკლები გამოცდილების ან ცოდნის მქონე პირები
- ბავშვები უნდა იყვნენ მეთვალყურეობის ქვეშ, რათა გარანტირებული იყოს, რომ ისინი არ თამაშობენ მოწყობილობით.

- გასუფთავება და მომხმარებლის მომსახურება არ უნდა მოხდეს ბავშვების მიერ მათზე მეთვალყურეობის გარეშე.
- არ არის რეკომენდებული ბავშვებისთვის და/ან შინაური ცხოველებისთვის საწოლზე ან მის ქვეშ თამაშის უფლების მიცემა.
- არ გამოიყენოთ აქსესუარები/დანართები, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.

დამატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი და შესანახი საწოლის გამოსაყენებლად



გაფრთხილება

- თავი მოარიდეთ ჩარჩოს. ძალიან ფრთხილად იყავით, რომ თავი არ მიართყათ ჩარჩოს გახსნისას. ყურადღება მიაქციეთ, რომ გახსნისას, ამწევი მექანიზმი საკმარისად ძლიერია, რათა ბოლომდე ასწიოს სისტემა.



გაფრთხილება

- საწოლის სათავსოს გახსნისა და დახურვისას, ფრთხილად იყავით, რომ არ მოიყოლოთ თითები ანჯამებში ან სათავსოს ჩარჩოში.

დამატებითი ინსტრუქციები თქვენი TEMPUR ARC™-ის რეგულირებადი საწოლის გამოსაყენებლად



საფრთხე

- არ გამოიყენოთ ნებისმიერ გარემოში, სადაც შეიძლება იყოს წვალი, ფეთქებადი აირები ან ორთქლი (მაგ., ანესთეზიოლოგია).



გაფრთხილება

- ელექტრონულ აქსესუარების თანხმლები ბატარეები არ არის დამუხტვადი და არ უნდა მოთავსდეს ბატარეის დამტენში.



გაფრთხილება

- არ დაჯდეთ ან დადგეთ ჩარჩოების კიდეებზე, სანამ ისინი აწეულია მაღლა.
- საწოლის საყრდენის ჰოზიციის დარეგულირებისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს გამოიჩინეთ, რომ თითები არ მოგყვებოდეთ მექანიზმში.

მნიშვნელოვანია

- არ გამოიყენოთ ტვირთის ასაწევად და დასაწევად სამრეწველო ან ტექნიკური მიზნებისათვის.
- მოერიდეთ ძალას, რომელიც აღემატება განსაზღვრულ დონეს ძრავის დონის განმსაზღვრელ ფირფიტაზე.
- თავაკების დამახინჯების თავიდან ასაცილებლად, რეგულირებადი საწოლის სადგამი უნდა განთავსდეს გლუვ ზედაპირზე.



გაფრთხილება

- ელექტრული ნაწილები მიერთებული ან გათიშული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც კვების კაბელი გამორთულია.

დიაგნოსტიკა

წინამდებარე თავში აღწერილია დიაგნოსტიკის მეთოდები ინსტალაციისა და ყოველდღიური გამოყენების დროს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მთხოვთ იხილოთ რეგულირებადი ჩარჩოების აწყობის სახელმძღვანელო დისტანციური მართვისა და ძრავების დაწყვილებისა და განცალკევებისთვის

რა უნდა გააკეთოთ შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში:

თუ აღმოაჩენთ, რომ შეცდომა, რომელიც არ არის ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეტანილი, გთხოვთ დაუკავშირდეთ თქვენს გაყიდვების აგენტს/ მომწოდებელს.

პრობლემები	სავარაუდო მიზეზი	პრობლემის გადაჭრა
დისტანციური პულტის ან ძრავის სისტემა არ ფუნქციონირებს.	ელექტრული კვება არ მიეწოდება.	ჩართეთ დენის კაბელი ბუდეში.
მოულოდნელად ამძრავმა შეწყვიტა მოძრაობა.	დისტანციურ პულტს ან მძრავს აქვს დეფექტი.	დაუკავშირდით თქვენს გაყიდვების აგენტს.
	დისტანციური პულტის ბატარეა დაცლილია.	შეამოწმეთ ბატარეა და საჭიროებისამებრ, შეცვალეთ.
	დენის მიწოდებისას კავშირი გაწყდა.	შეამოწმეთ კაბელები და საჭიროებისამებრ, ჩართეთ ბუდეში.

აქსესუარებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი

აქსესუარები		სათადარიგო ნაწილები	
83715503	ლეიბის გვერდითი მარყუჟების ნაკრები	83715290	Motor Premium
83715283	სათავსო ბაღე 135x190 სმ	83715291	ძრავის კაბელის შესაერთებელი
83715284	სათავსო ბაღე 140x200 სმ	83715292	Remote Premium
83715285	სათავსო ბაღე 150x200 სმ	83715293	დისტანციურად გახსნა
83715286	სათავსო ბაღე 160x200 სმ		
83715287	სათავსო ბაღე 180x200 სმ		

დამატებითი ინფორმაცია ელექტრო ნაწილების გაწმენდისა და მოვლის შესახებ

შენიშვნა

- სანამ ამძრავი სისტემის წმენდას დაიწყებთ, ყოველთვის ჩახსენით ის კვების წყაროდან!
- არასდროს გაწმინდოთ ძრავის ბლოკი ავტომატური სარეცხი სისტემის ან მაღალი წნევით საწმენდი მოწყობილობის მეშვეობით.
- არ დაუშვათ ბლოკში რაიმე სითხის შეღწევა. ამან შეიძლება სისტემის დაზიანება გამოიწვიოს.
- არ გამოიყენოთ საწმენდი საშუალება, რომელიც შეიცავს ბენზოლს, სპირტს ან მსგავს გამხსნელებს.
- ელექტრო კომპონენტები საჭიროებისამებრ გაწმინდეთ მშრალი ანტისტატიკური ქსოვილით.
- არ დააზიანოთ ამძრავის შემაერთებელი კაბელი.

ელექტრო ნაწილების გადაყრა

გარემოს დასაცავად და შესაძლო ხელახალი გამოყენებისთვის, გირჩევთ, მიჰყვეთ გადამუშავების შესახებ ქვემოთ მოცემულ რჩევებს:

ელექტრო და ელექტრონული ნაწილები

გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ნარჩენი ელექტრო პროდუქტები არ უნდა გადაყაროთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. გთხოვთ გადაამუშავოთ

იქ, სადაც აპარატურაა. მიმართეთ თქვენს ადგილობრივ წარმომადგენელს ან საცალო მოვაჭრეს გადამუშავების შესახებ რჩევისთვის.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა შეიცავს ისეთ მასალებს, ნაწილებს და ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება იყოს საშიში და საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს არასწორად მოპყრობის შემთხვევაში.

გადახაზული ბორბლიანი ურნით მონიშნული მოწყობილობა არის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა. გადახაზული ბორბლიანი ურნის სიმბოლო იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები არ უნდა გადააგდოთ დაუხარისხებელ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად, არამედ ისინი უნდა შეგროვდეს ცალკე.



ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები არ უნდა გადააგდოთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. მაცხოვრებლებმა უნდა გამოიყენონ შეგროვების სქემები, რათა შეამცირონ გარემოზე უარყოფითი გავლენა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის ნარჩენების განადგურებასთან დაკავშირებით და გაზარდონ ახლიდან გამოყენების, გადამუშავებისა და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის ნარჩენების აღდგენის შესაძლებლობები.

ძრავის დანადგარის დემონტაჟი



გაფრთხილება


- ელექტრონული ნაწილები მიერთებული ან გამორთული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც კვების ბლოკის კაბელი გამოერთებულია.
- საგნებს შორის ხელის მოყოლით/ საგნის დაცემით დაშავების საფრთხე!
დარწმუნდით, რომ ამძრავთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას მას ზევიდან არაფერი აწვება . ამ გაფრთხილების მიზანია საგნებს შორის ხელის მოყოლის ან დაშავების რისკის თავიდან აცილება.



სამვოლტიანი ბატარეების უტილიზაცია რეგულირდება ევროკავშირის ბატარეებთან დაკავშირებული დირექტივით 2006/66/EC, და საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ეროვნული კანონებითა და რეგულაციებით.

ბატარეების უტილიზაცია არ უნდა მოხდეს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებული მითითებების მისაღებად, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ხელისუფლებას ან საცალო გაყიდვების აგენტს.

1. გადაიტანეთ თქვენი პროდუქტი ისეთ მდგომარეობაში რომ მასზე არანაირი დატვირთვა არ იყოს.
2. გამოაერთეთ ძრავა ელექტრული კვების წყაროდან!
3. გამოაერთეთ ყველა შემაერთებელი კაბელი.
4. მოხსენით შიდა ჩარჩო და ამოატრიალეთ.
5. ძლიერად გასწიეთ საფარები (A) გვერდზე, სანამ ისინი ბოლომდე არ მოიხსნება.
6. ამოსწიეთ ძრავა ისე, რომ მისი სამაგრები (C) ამოვიდეს დარებიდან (B).
7. ამის შემდეგ ძრავა უკვე გამოერთებულია და შეიძლება მისი ამოღება.
8. საფარები (A) შესწიეთ ძრავში, რომ თავიდან აიცილოთ მათი დაკარგვა ტრანსპორტირებისას.



განცხადება შესაბამისობის შესახებ

მწარმოებელი, Osäuhing-ის საწოლის ქარხანა, შვედეთი, Tempur Sealy International, Inc.-ის შვილობილი კომპანია.

რეგისტრირებულია Riia 66, EE-71009 Viljandi, ესტონეთი, აცხადებს, რომ შემდეგი პროდუქტი,

TEMPUR ARC™ საწოლის რეგულირებადი საფუძვლები

მოწოდების მდგომარეობით, აკმაყოფილებს ევროკავშირის შემდეგი დირექტივებისა და სტანდარტების მოთხოვნებს:

დირექტივები	თემა
დირექტივა 2006/42/EK	დანადგარი
დირექტივა 2011/65/EE	RoHS- მავნე ნივთიერებების შემცველობის შესახებ შეზღუდვები
დირექტივა 2014/35/EE	LVD (დაბალძაბვიანი დანადგარების დირექტივა)
დირექტივა 2014/53/EE	RED (რადიოაღჭურვილობის დირექტივა)
დირექტივა 2014/30/EE	EMC (ელექტრომაგნიტური თავსებადობა)
დირექტივა 2009/125/EK	ეკოლიზინი

სტანდარტები	თემა
სტანდარტი ISO 19833:2018	ავეჯი- საწოლები- შემოწმების მეთოდები სტაბილურობის, სიძლიერის და გამძლეობის დასადგენად
სტანდარტი EN1725:1998	საყოფაცხოვრებო ავეჯი. საწოლები და ლეიბები. უსაფრთხოების ხელსაწყოები და შემოწმების მეთოდები
სტანდარტი EN 13759: 2012	ავეჯი. მოქმედი მექანიზმები დასაჯდომი და დასაწოლი ღივნებისათვის. შემოწმების მეთოდები

წინამდებარე შესაბამისობის შესახებ დეკლარაცია გაიცემა მხოლოდ მწარმოებლის პასუხისმგებლობის ქვეშ.

დირექტივებსა და სტანდარტებს თან ახლავს პროდუქტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პროდუქტის შესაბამისობას.

წინამდებარე შესაბამისობის შესახებ დეკლარაცია აღარ მოქმედებს, თუ დიზაინში და/ან აგებულებაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს ტექნიკურ დოკუმენტაციაზე.

ხელმოწერილია:

Osaühing Bed Factory, შვედეთი.

შვილობილი კომპანიის Tempur Sealy International, Inc. სახელით.

Riia 66, EE-71009 Viljandi, ესტონეთი

A handwritten signature in black ink, consisting of several overlapping loops and a long horizontal line extending to the right.

Indrek Aasna- მმართველი დირექტორი

გარანტია

TEMPUR®-ის გარანტია

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია TEMPUR®-ის გარანტიის პირობები და გამონაკლისები TEMPUR®-ის ახალი პროდუქტებისთვის, რომლებიც მიყიდულია მომხმარებლებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით (აშშ-ისა და კანადის გარდა).

ვინ გვთავაზობს TEMPUR®-ის გარანტიას?

TEMPUR ARC™-ის საწოლების მწარმოებელი არის შვედეთში OÜ მდებარე საწოლის ქარხანა, კომპანია, რეგისტრირებული ესტონეთში კომპანიის რეგისტრაციის ნომრით 11133916. ოფისის იურიდიული მისამართი: Riia mnt 66 Viljandi 71009, ესტონეთი. Bed Factory Sweden OÜ (მწარმოებელი) არის TEMPUR-Sealy International, Inc.-ის შვილობილი კომპანია.

რას მოიცავს?

მწარმოებელი გარანტიას იძლევა, რომ TEMPUR ARC™-ის ყველა ახალი და ორიგინალი საწოლები არ შეიცავს მატერიალურ დეფექტს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს გაუმართავი მუშაობით ან შესაბამისი საგარანტიო პერიოდის მქონე მასალებით (იხ. განყოფილება- რამდენი ხანი?), გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც პროდუქტი სპეციალურად არის გამორიცხული, ან გამონაკლისი ვრცელდება (იხ. განყოფილება- გამონაკლისები).

TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტია მოქმედებს იმ პროდუქტებზე, რომლებიც შექმნილია მომხმარებლების მიერ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მწარმოებლისგან ან ავტორიზებული საცალო ვაჭრობისგან პირადი სარგებლობისთვის და არა ბიზნესის, ვაჭრობის ან პროფესიული საქმიანობის დროს. ავტორიზებული საცალო მოვაჭრეების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.tempur.com

რამდენი ხნით?

TEMPUR®-ის გარანტია მოქმედებს შესაბამისი პროდუქტის შეფუთვაზე ან შიგნით გამოსახული პერიოდის განმავლობაში, ან როგორც ქვემოთ არის ნათქვამი, შექმნის თარიღიდან (გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა პროდუქტი არის ყოფილი გამოსაფენი ან საჩვენებელი მოდელი, რომლის დროსაც გარანტია იწყება წარმოების თარიღიდან).

ამ ტექსტის ნებისმიერ ნათარგმნ ვერსიას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურენოვან ვერსიას მიენიჭება.

საგარანტიო პერიოდი, როგორც წესი, მითითებულია საგარანტიო ცხრილში, მაგრამ მწარმოებელი გვირჩევს, რომ შეამოწმოთ საგარანტიო პირობების მოქმედება იმ ქვეყანაში, სადაც თავდაპირველად შეიძინეთ თქვენი პროდუქტი, რადგან შეიძლება მოქმედებდეს სხვა საგარანტიო პერიოდი. ამისთვის, გთხოვთ გადახვიდეთ ვებ-გვერდზე www.tempur.com

პროდუქტი: საწოლები და საწოლის ნაწილები	პროდუქტის გარანტია	რას მოიცავს?
TEMPUR ARC™-ის საწოლის საფუძველი (გარე ჩარჩო) და წაწოლის თავის ფიცრები	10 წელი	მატერიალური დეფექტები გაუმართავი მუშაობის ან მასალების გამო.
TEMPUR ARC™ -სი საწოლის შიდა ჩარჩოები (მყარი ფიცრის, მყარი დისკი, რეგულირებადი ფიცრის, რეგულირებადი დისკი, შენახვა)	5 წელი	მატერიალური დეფექტები გაუმართავი მუშაობის ან მასალების გამო.
TEMPUR ARC™ -ის საწოლი რეგულირებადი საწოლების ელექტრო ნაწილები: ძრავა, დისტანციური მართვა	3 წელი	მატერიალური დეფექტები გაუმართავი მუშაობის ან მასალების გამო.

რას გავაკეთებთ ჩვენ?

თუ დასაბუთებული პრეტენზია წარდგენილია წინამდებარე TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტიის შესაბამისად, მაშინ მწარმოებელი თავისი არჩევანისამებრ, შესთავაზებს დეფექტური პროდუქტის შეკეთებას ან შეცვლილი სათანადო პროდუქტის უფასოდ მიწოდებას.

მწარმოებელი აანაზღაურებს მიტანის გონივრულ ხარჯს დეფექტური პროდუქტის შესაკეთებლად ან გამოსაცვლელად დაბრუნებისთვის, სანამ პრეტენზია ძალაშია ამ TEMPUR®-ის გარანტიის პირობების შესაბამისად და პროდუქტი დაბრუნდება იმავე ქვეყნის იმ მისამართიდან, სადაც ავტორიზებული საცალო მოვაჭრის პროდუქტი იყო შეძენილი. შეკეთებული ან შესაცვლელი პროდუქტი უფასოდ მიეწოდება იმავე ქვეყანაში არსებულ მისამართზე, სადაც ავტორიზებული საცალო მოვაჭრის პროდუქტი იყო შეძენილი. ყველა სხვა შემთხვევაში, მიწოდების ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ შეკეთებასთან ან შეცვლასთან, არის მყიდველის პასუხისმგებლობა.

შეცვლის შემთხვევაში, მწარმოებელი უნდა შეეცადოს უზრუნველყოს შემცვლელი პროდუქტის იმავე წარმოების საზიდან მიწოდება. თუმცა, თუ პროდუქტის წარმოების საზი გაჩერებულია ან პროდუქტი სხვაგვარად მიუწვდომელია, მწარმოებელი იტოვებს უფლებას მიაწოდოს შეცვლილი პროდუქტი, რომელიც მწარმოებლის შეხედულებისამებრ, დეფექტური პროდუქტის მსგავსია.

TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტია მოქმედებს ორიგინალური პროდუქტის შეძენის დღიდან (ან წარმოების თარიღიდან ყოფილი გამოსაფენი/საჩვენებელი პროდუქტების შემთხვევაში). არ არის განახლებული შეკეთებული ან შეცვლილი პროდუქტის მისაწოდებლად. ასეთ შემთხვევებში, TEMPUR ARC™-ის გარანტია იმოქმედებს დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, შეძენის ან წარმოების თარიღიდან, გამოყენების მიხედვით.

გამონაკლისები

TEMPUR®-ის გარანტია არ მოქმედებს თუ:

- შეძენილია გამოყენებული პროდუქტი, მეორეული ან ვინმესგან, გარდა ავტორიზებული საცალო მოვაჭრისა, ან უშუალოდ მწარმოებლისგან. ავტორიზებული საცალო მოვაჭრეების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე tempur.com
- TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტიის მიხედვით პრეტენზიის წარდგენის პროცესი (ქვემოთ მოცემული სათაურით „როგორ ითხოვთ TEMPUR ARC™-ის საწოლზე გარანტიას?“) სწორად არ შესრულდა.
- პროდუქტის გამოყენება და/ან მოხმარება არ მომხდარა სათანადო სიფრთხილით და/ან გამოყენების, სისუფთავის დაცვისა და მოვლის ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც აღწერილია გამოყენების ინსტრუქციებში და ვებ-გვერდზე tempur.com
- პროდუქტი განზრახ იქნა დაზიანებული ან დაზიანდა თქვენი ან მესამე მხარის მიერ დაუდევრად, დაჭრის, დამწვრობის, დატბორვის ან სხვა არასათანადო გამოყენების შედეგად.
- პროდუქტი დასველდა ან გაიჟღინთა მწარმოებლის რეკომენდაციების მიუხედავად.
- აღმოჩნდა, რომ პროდუქტი ძალიან დასვრილია, დაბინძურებული და/ან სხვაგვარად ჭუჭყიანია.
- პროდუქტი ჩანაცვლდა ან შეკეთდა მწარმოებლის წინასწარი ნებართვის გარეშე.
- დეფექტი არის ნორმალური ცვეთის შედეგი.
- ძრავები ან დისტანციური მართვის პულტი გაიხსნა ან დაზიანდა; ბატარეის განყოფილებების გარდა, გარანტია ბათილია, თუ ამ ნაწილების შიდა მუშაობა დაირღვა.
- გადატვირთულია ან არასწორად იქნა გამოყენებული მწარმოებლის მიერ წონის შესახებ შეზღუდვების მიუხედავად.

როგორ ითხოვთ TEMPUR ARC™-ის გარანტიას?

TEMPUR ARC™-ის გარანტიის მოსათხოვად თქვენ უნდა:

- დაუკავშირდეთ ავტორიზებულ საცალო მოვაჭრეს, ვისგანაც თავდაპირველად შეიძინეთ ეს პროდუქტი („გამყიდველი“). თუ გამყიდველი ან ადარ არის ამ ბიზნესში ან ადარ არის TEMPUR® ARC-ის საწოლის ავტორიზებული საცალო მოვაჭრე, გთხოვთ დაუკავშირდეთ მწარმოებელს.
- წარმოადგინოთ ორიგინალი ინვოისი ან ნივთის შეძენის ქვითარი, როგორც შეძენის დამადასტურებელი საბუთი.
- დაუბრუნოთ პროდუქტი გამყიდველს ან მწარმოებელს (მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელმა გამოითხოვა პროდუქტი). თუ მწარმოებელი დაადგენს, რომ ჰრეტენზია ძალაშია ამ TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტიის პირობების შესაბამისად, მაშინ თქვენ დაგიბრუნდებათ მიტანის გონივრული ხარჯი დეფექტური პროდუქტის დაბრუნებისთვის, თუკი პროდუქტი დაბრუნებული იყო იმავე ქვეყნის მისამართიდან, სადაც გამყიდველი იყო.

ჩვენი პასუხისმგებლობა თქვენს წინაშე

მწარმოებლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტიის ფარგლებში პროდუქტის შეკეთების ან/და გამოცვლის ხარჯით. შესაბამისად, მწარმოებელი არ იქნება პასუხისმგებელი დაკარგვის ან დაზიანების ყველა სხვა ვალდებულებაზე, გარდა პროდუქტის შეძენის, ფლობის, გაყიდვის ან გამოყენების შედეგად გამოწვეული ვალდებულებებისა. თუმცა, მწარმოებელი არ გამოირიცხავს ან ზღუდავს რამენაირად მის პასუხისმგებლობას სიკვდილის ან პირადი დაზიანებისათვის, რომელიც გამოწვეულია მისი დაუღვერობით, ან თაღლითობით ან განზრახ დამახინჯებით.

პროდუქტები იყიდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და პირადი გამოყენებისთვის. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი თქვენს წინაშე რაიმე მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის დაკარგვაზე ან გაჩერებაზე ან ბიზნეს წარმოების შესაძლებლობის დაკარგვაზე.

თქვენი იურიდიული უფლებები

TEMPUR ARC™-ის საწოლის გარანტია არ ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მომხმარებლის კანონიერ უფლებებზე, მაგრამ მიზნად ისახავს მომხმარებლის უფლებების სრულყოფას, სადაც ეს შესაძლებელია.